

ანზორ მრქომავიშვილი

ქართული ფოლკლორის მოწოდებელი ცაზე მუხი გავარდა - ანზორ ერქომაიშვილი გარდაიცვალა... ჭირს, ძალიან ჭირს ამ დიდ კაცზე საუბარი, მისი განუზომელი ღვაწლისა და საქმის შეფასება... ამ მძიმე ეპოს რა უნდა თქვა მასზე ისეთი, რომ მისი პიროვნება, მისი ნაღვლის საღვლისა და სახვალის მნიშვნელობა ოდნავ მინც გამოხატო. კაცის კაცით შეცვალა ძელი, მით უფრო - დიდოსტატისა, კულტურტრეკერისა, ქართული ხალხური სიმღერის გულმღვდარე ჭირისუფლისა, ბერძუნისა და პატრიარქისა!

დას, დადგა დრო ვიფიქროთ, თვალი გავადევნოთ, საიდან დაიწყო და სადამდე მივიდა: განა მართლ სიმღერით, - პლივირისა და მეროვიკე ბერივით დადიოდა მსოფლიო გზებზე, წინაპართა ხმებს დაეძებდა, აგროვებდა და ღმერთით მკვდრებით ავადგენდა.

ანზორ ერქომაიშვილი გარდასული ხმების შემგროვებელია! მამ, „გორდელა“, „რუსთავი“, „მართვე“ რაღა არის? - მომავლის ხმები. ანზორ ერქომაიშვილი მომავლის ხმების შემგროვებელიცაა, მომავალი თაობის დიდი მოძღვარი და შემგონებელი. შეუძლებელია, შეგერდეს გულისგულში არ გაუაროს ასეთმა სიბრძნემ:

ბუნებაში ყველაფერი იცვლება

ბა სიკეთის გარდა. ღმერთი ადამიანს იმიტომ აწინს, რომ ქვეყანას რაღაც შემატოს. სიკეთის საზომი ვერ არავის მოუგონია, თუ სიკეთე გაზომე, მაშინ იგი სავაჭრო ნივთად იქცევა.

თუ ბოროტებას არ ჩაიდენ, ეს თავისთავად სიკეთეა...

მოძღვრებს კეთილ ხალხს ეძახიანო, - ხშირად ამბობდა ამ ფრანკს. ო, როგორ უყვარდა ეს „კეთილი ხალხი“ თავად იმ წაღიდან შობილს და აღზრდილს, რა გატაცებით ლაპარაკობდა მათზე, როგორ აჯადოებდა და ხობლავდა მსმენელს - განურჩევლად ყველას, იყო თუ არა ქართული სიმღერის ტრფიალი და თავგანისმცემელი... რა იყო ამ დიდი ხობლის საიდუმლო? - უპირველესად, უკიდევანო სიყვარული, ნიჭიერება, ერთიცა, მჭევრმეტყველება, მწერლური ალლო და უსაზღვრო რწმენა. ღვთის ნებით, ყოველივე ეს დაგანებულიყო ამ ერთ კაცში და, სინერგიად ქცეული, ხშირად შეუძლებელსაც აკეთებინებდა. გაკეთებული კი იმდენი აქვს, ქართულ სახესიკო ფოლკლორსა და ქართულ გლობას საუკუნო საგზლად რომ ეყოფა და გამოადგება!

ერთხელ „მართვეს“ მნიშვნელობა ასე შეფასდა: ანზორ ერქომაიშვილმა „მართვეს“ და-

რსებით დიდგორის ბადალი ბრძოლა მოიგო! როგორ შეწუხდა, ლოყები შეეფაკლა - ეს ამოიღეთო... ვინ ამოიღებდა?! ასლა უფრო თამამად ვიტყვი: თქვენ ქართულ ფოლკლორის დიდგორი მოაგებინეთ, ქართული გენია მსოფლიოში სიმღერით განვინეთ, განცვიფრებული მსოფლიო მრავალხმანი საქართველოსკენ გამოხედეთ, სწორუპოვარი ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო საგანძურს შემატეთ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარების სახით!

თქვენი ნაფიქრ-ნაზრევა: ჩვენ ყველანი სიკვდილმისცილებით ვართ! ესე: უმიზნო სიკვდილი - უბედურება! თქვენ კი ისეთი მიზანი გქონდათ, ისეთი ანდრძი ადასრულეთ, რომ დირდა ამისთვის ცხოვრება და გარდაუვალი სასჯელის აღსრულება!

ანზორ ერქომაიშვილისნაირი კაცები საქართველოა!

ანზორ ერქომაიშვილის დარი ვაყაყები თავისუფლება!

ასე ხელ და სულდამჭვენული მიუვა იგი სულეთს ძალიან მაღე თავის ღირსეულ წინაპრებს, ზეცად დაგანებულ დიდ მოძღვრალთა კოპორტას.

შშვილობით, ჩვენო დიდი ქართველო კაცი!!!

ანზორ მრქომავიშვილი: ანსამლ "რუსთავის" დამფუძნებელი, მუსიკოსი, ფოლკ-

ლორის და ქართული ხელოვნების დიდი მოამაგე, ქორმისტერი, უამრავი საგალობლის თუ სიმღერის აღმდგენელ-გადამრჩენი და თავდაც არაერთი სიმღერის ავტორი, ღირსეული მამულიშვილი, მოქალაქე და მეცნიერი, სახელოვანი და ნიჭიერი ოჯახის შთამომავალი, მრავალი ეროვნული სახელოვნებო პროექტის ავტორი, ხელოვნების აკადემია "მართვეს" დამფუძნებელი, არაერთი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი, პროფესორი ანზორ ერქომაიშვილი მისი რეგალიები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ერქომაიშვილი საქართველოს ღირსება და დიდი ხელოვანია, რომლის ღვაწლი და საქმე მსოფლიოშია აღიარებული... 2013 წლის 6 იანვარს, ანზორ ერქომაიშვილი „საუკუნის ადამიანი“ დასახელდა.

ანზორ ერქომაიშვილი დაბადა და ვით ერქომაიშვილისა და ეთერ გორდელაძის ოჯახში. არის თვითნასწავლი მოძღვრების, არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი. არტემისვე რჩევით მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, ჩააბარა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1969 წელს დაამთავრა. ვერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღე-



რების გადატანა ნოტებზე. კონსერვატორიაში დააარსა ამ სიმღერების შემსწავლელი ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. 1968 წლიდან არის ვოკალური ანსამბლი „რუსთავის“ ხელმძღვანელი. ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ იყო საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1972-1975 წლებში რუსთავის სახესიკო სკოლის დირექტორი. გამოცემული აქვს მის მიერვე ჩაწერილი და გამოფრული 7 ქართული (გურული) ხალხური სიმღერა (1972, მოსკოვი). გამოსაცემად მოამზადა კრებული „გურული ხალხური სიმღერები“. 2008 წელს გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი ოპოზიციის საარჩევნო ოლქიდან. 2009 წლიდან შეწყვიტა საკანონმდებლო საქმიანობა. 2014 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. 2020 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ბატონ ანზორს ბრწყინვალეობის ორდენი გადასცა. **საპარტიზმლოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი**

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ უდიდესი ქართველი ფოლკლორისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ანზორ მრქომავიშვილის** გარდაცვალების გამო, თანავუგრძნობ და ვუსამძიმებ მის ოჯახს და სრულიად საქართველოს. **ბიორგი სასოკია.** **სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში**

მწუხარებას გამოვთქვამ ჩვენი კუთხის საამაყო წარმომადგენლის, ქართული ფოლკლორის მოამაგის, დიდი მოძღვრლის, ლიტურგის, კომპოზიტორის, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმობნეული ქართული სიმღერების ჩანაწერების მომძიებლისა და გამოცემის, „რუსთავის“ და „მართვეს“ დამარსებლის **ანზორ მრქომავიშვილის** გარდაცვალების გამო. ეს ქვეყნისთვის უდიდესი დანაკარგია. ვუსამძიმებთ მის ოჯახსა და ახლობლებს. **ოზურბეთის მუნიციპალიტეტის მმრია.**

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, **ანზორ მრქომავიშვილის** გარდაცვალების გამო. დიდა მისი ღვაწლი ქართული კულტურის, ხელოვნების და ზოგად ჩვენი ქვეყნის წინაშე. ვუსამძიმებთ და ვუთანაგრძნობთ მის ოჯახს, ახლობლებს, ჩვენს მხარესა და ქვეყანას ერის საამაყო შვილის გარდაცვალების გამო. **ოზურბეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

ანზორ

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 9 (10379) 5 აპრილი 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

ვასო ჩიბოგია: „თანამედროვე თეატრის ყველა თანამედროვე პრინციპს ოზურბეთის თეატრი არა მხოლოდ გადმოიტანს, დაემრფუნეთ, გააუმჯობესებს“



კოვიდსიტუაციის გამო გურიის 4 ტერიტორიულ ერთეულში სასწავლო პროცესი შეჩერდა

კოვიდდღებში პაციენტების განმარებული შემთხვევების გამო, 2 აპრილიდან სასწავლო პროცესი 2 კვრით შეჩერდა ოზურბეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის სკოლასა და საბავშვო ბაღში; ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების - ნეფთის, ჩოჩხათის, ნეგზანის საჯარო სკოლებსა და ბაღებში. ზემოთ ჩამოთვლილ სოფელში მოსახლეობის ტესტირება ჩატარდა შრომის საჯარო სკოლის დირექტორის რუსუდან ცეცხლაძის თქმით, პარასკევიდან სწავლება ონლაინ რეჟიმში გადავიდა. გასულ პარასკევს ვესაუბრეთ სოფელ შრომის საჯარო უბნის ექიმს **ირმა რობაქიძეს**, რომელმაც გვითხრა, რომ სოფელში „COVID 19“ -ით ორი ქალბატონი, 60

წლის **ღ.** და 50 წლის **ფ** გარდაიცვალა. ამან განაპირობა სოფელში სასწავლო პროცესის შეჩერება და ვაკისა და ხრავლის უბნებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ მოსახლეობის მასობრივი გამოკვლევა. ხრავლის ტესტირებული 75 ადამიანიდან ყველა კოვიდუარყოფითია. ანალოგიურია ვაკის უბანშიც. აქ 67 ადამიანს ჩაუტარდა ტესტი. ამჟამად საექიმო უბანი სოფლის ცენტრში, ყოფილი შემალაროს შენობაში გადასული, რომელიც შესაბამის პირობებს აქვთ შექმნილი. აქ 22 ადამიანი გაისინვა. სამწუხაროდ 2 ბავშვს, შესაბამისად 2 და 3 წლის ასაკის - კოვიდდღებში აღმოჩნდა **ირმა რობაქიძე** ასევე გე-



თხრა, რომ ეს ბავშვები საბავშვო ბაღებში არ დადიოდნენ და ამდენად სხვა ბავშვებზე ვირუსის გადაცემის საშიშროება არ არის. „ყოფილ 19“ დაუდასტურდა გაბრიელ ებისკოპოსის სახელობის ოზურბეთის სამრევლო სკოლის ერთი მოსწავლეს. - ერთ მერვე კლასელ

მოსწავლეს, რომელიც ბოლო 6 დღე სკოლაში არ დადიოდა, „ყოფილ 19“ დაუდასტურდა. პრევენციის მიზნით, მე-8 კლასის ყველა მოსწავლე ერთი კვირით ონლაინ სწავლებაზე გადავიყვანეთ - გვითხრა სკოლის დირექტორმა **ნინო გოგეშვილმა**.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ნიშნით ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

„დარწმუნებული ვარ, ქართველი ასტროლოგები აღმოაჩენენ ვარსკვლავს, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილის სახელს დარქმევენ“



გაზეთ „ალიონთან“ საუბარში ამ სიტყვებით გამოემხარა ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე თავისი მეგობრის, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალებას. „ისეთ დღეში ჩავვარდი, გუშინ რომ გვეითხათ ამ საკითხზე, ვერაფერს გეტყვოდი. ჩემს ფეხბურთე გვერდზეც დავწერე, რომ ანზორს არ ვემშვიდობები, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს იქ

და შეხვედრამდე-მეთქი. ანზორი იყო ჩემი თანამოაზრე, მრჩეველი, ძმა და ნამდვილი მეგობარი. ასე გამოვხატე არსად მითქვამს, ოზურგეთის თეატრის წინ რომ ჩემი ვარსკვლავია, ეს მისი დიდი დამსახურებაა. მაგრამ მე და ჩემი თანამოაზრე მეგობრები ვერ დავრჩით შეუვალი ადამიანები და აუხდენელ ოცნებად დავგვრჩა ანზორის ვარსკვლავის გახსნა. როცა ვნახე და ამ საკითხზე ჩამოვუგდე სიტყვა, არ დამეთანხმა. მერე ასეთი აზრი მომივიდა და ეს აზრი გავაცანი ფოლკლორის ცენტრსაც, ბატონ ღონაძესაც და ყველას, რომ გვესარგებლა შემთხვევით, გაგვეხსნა ერქომაიშვილის ვარსკვლავი და სანამ ცოცხალია, ნუ დავაწერდით მას ანზორ ერქომაიშვილს. ამის უფლება გვაქვს-მეთქი. შარშან ანზორის იუბილეზე ეს ვარსკვლავი უნდა გავგვეხსნა, ყველა დონეზე

გავლილი იყო საკითხი, ყველასგან იყო თანხმობა. უნდა ვთქვა ისიც, აღფრთოვანებული იყო ის, ვინც ვარსკვლავებს ხსნის, მაგრამ, ანზორის პრინციპულობისა და თავმდაბლობის გამო, არ მოხდა ეს. თანაც გამაჩერეს, ახლა ამდენ ვიღვლოს იღებს, ვარსკვლავი რომ არ გაუფერულდეს, ცოტა გადავწიოთ გახსნაო. გადავწიეთ და... ეს გამყვება, ალბათ, სამუდამოდ ძალიან დიდ ტკივილად. ყველა ვიღვლოზე და ყველაფერზე დიდი არის ის, რაც ანზორმა დაუტოვა ქვეყანას, შთამომავლობას, რა სახელიც დატოვა. დარწმუნებული ვარ, ქართველი ასტროლოგები აღმოაჩენენ ვარსკვლავს, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილის სახელს დარქმევენ და ამაზე დიდი არაფერი არ იქნება“.

№1 საჯარო სკოლაში „თანასწორობის კუთხე“ გაიხსნა



ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით აღიჭურვა. სკოლას წიგნები სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სახოკიამ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან გიორგი კეკელიძესთან ერთად გადასცა. სკოლაში გაიხსნა „თანასწორობის კუთხე“, სადაც თავმოყრილი იქნება წიგნები, რომლებიც თემსტურად დაკავშირებულია თანასწორობის, ტოლერანტობისა და თავისუფლების იდეასთან. სკოლაში ფოტოგამოიყენა „გოგონები მომავლიდან“ წევრებაც გამოჩნდა, რომელიც ფოტოგრაფ დინა ოვანოვას ავტორობით და გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით (UNFPA) შექმნილი პროექტია. პროექტის მიზანია, საზოგადოებას საზგამბით დაანახოს, რომ გოგონების პოტენციალის სრულ რეალიზებას, მათთვის თანაბარი პირობებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას, განათლ-

საზაფხულო კინოთეატრი აღდგება

ოზურგეთის ძველი კინოთეატრის ტერიტორიაზე, ახალგაზრდების ინიციატივით, სამომავლოდ საზაფხულო კინოთეატრი მოეწყობა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი გახდება. ამჟამად, აღნიშნულ მონაკვეთზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება, რომელსაც ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე გაეცნო. გაწმენდილ სამუშაოებს, ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომ-

სახურების ცენტრის“ თანამშრომლები ასრულებენ. პანდემიის რეგულაციებიდან გამომდინარე, დახურულ სივრცეში აკრძალულია შეხვედრები, შესაბამისად, სამომავლოდ საზაფხულო ღია კინოთეატრის სივრცეში, ნებისმიერი ახალგაზრდული აქტივობის განხორციელება იქნება შესაძლებელი. დაგეგმილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის მომზადება და შესაბამისი თანამედროვე აპარატურის შეძენა.



ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მოეწყობა ტროტუარები, გარე განათების სისტემა და დაიგება ქვანაპირი. სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტან-

ტინე შარაშენიძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, თემურ გიორგაძე გაეცნენ. პროექტს შ.პ.ს. „შენიშნული 2017“ ახორციელებს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 157 329 ლარით ფინანსდება.




გამოვანების აქცია №1 საჯარო სკოლაში

30 მარტს, ოზურგეთის პირველ საჯარო სკოლას, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი სახოკიას ინიციატივით, გამოვანების კვირეულის ფარგლებში, ტუიას, იმერული მუხის, კვილოს, ძელქვასა და წაბლფოთლოვანი მუხის ნერგები გადაეცა. გარემოსდაცვით აქტივობაში მონაწილეობა სახელმწიფო რწმუნებულმა მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილიან და პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად მიიღო. აქცია პერმანენტული ხასიათის იქნება და ნერგები ახლო მომავალში



გურიის რეგიონის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც გადაეცემა.

ზვიად გამსახურდია – 82



1939 წელს, 31 მარტს, გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში დაიბადა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის დროს ეროვნული მოძრაობა „დაკონსერვებული“ იყო. მიუხედავად ამისა, მინც მზადდებოდა ნიადაგი ფარული ორგანიზაციების შექმნისა. „სუკს“ არ ეძინა. უამრავი პატრიოტი დახვრიტეს, ან გააციმბირეს. ვერანაირმა ტერორმა ვერ ჩაახრჩო თავისუფლების სურვილი ქართველ ერში. ქართველი მწერლები სათქმელს მინც ამობდნენ და ნელ-ნელა ივსებოდა მოთმინების ფიალა.

1956 წელს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მათი მეგობრები აშკარად დაუპირისპირდნენ არსებულ რეჟიმს. ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, კინოში, თეატრებში.

სავსე დარბაზებში იარუსებიდან ყრიდნენ პროკლამაციებს. ჯგუფის წევრები დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. 1959 წელს ისევ დააპატიმრეს, თუმცა მალე გაათავისუფლეს.

1975 წელს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრად აირჩიეს.

1976 წელს თბილისში დაფუძნდა ორი მეგობრის თაოსნობით „საქართველოს პელსინკის კავშირის“ ჯგუფი. ზვიად გამსახურდია სიცოცხლის ბოლომდე მისი თავმჯდომარე იყო.

1978 წელს, ზვიად გამსახურდია ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა დაცვასა და დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის აშშ-ს კონგრესმა ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალურ ნომინანტად წარადგინა. მოგვიანებით აირჩიეს

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების (Ish-icemmainის ფრანკფურტის) წევრად.

დისიდენტური საქმიანობისთვის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ისევ დააპატიმრეს. გაათავისუფლეს 1979 წელს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისევ განაგრძობს ეროვნულ მოძრაობას, მთელ მსოფლიოს აცნობს მერაბ კოსტავას ცდილობდა, ციხიდან დაეხსნა მეგობარი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მერაბ კოსტავა კვლავ ზვიადის გვერდით განაგრძობს ბრძოლას. 80-იანი წლების დასასრულს ყველა მშვიდობიანი აქციის მოთავე ისინი იყვნენ. მათ შორის, 9 აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც ტრაგედიით დამთავრდა. სწორედ 9 აპრილს გამოაცხადა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა. მასხვებს ის დღე, იყო დაუოკებელი ზეიმი, მთავრობის სახლის წინ ხალხი ცეკვადა, იმდენად დიდი იყო სიხარული, რომ გული ცუდს მიგრძნობდა.

მოსკოვი ამას არ გვაპატიებდა. უშიშროების კომიტეტი თავისი „უზარმაზარი გამოცდილებით“ ყველა ზერხით ცდილობდა დაეპირისპირებინა ქართველები ერთმანეთთან, ქართველებზე დაყრდნობით ცდილობდა სახელმწიფო გადატრიალება მიეხდინა. ასეც მოხდა. სამხედრო არაფორმალურმა დაჯგუფებებმა და ეროვნული გვარდიის (რომელიც ზვიად გამსახურდიამ შექმნა) დალატმა დაამხო ეროვნული მთავრობა. და ბოლოს, ხიბულაში პრეზიდენტს ბოლო მოუღეს.

მე არ შეუვადგები ვასული საუკუნის 90-იანი წლების აღწერას. ეს იყო ყოვლად გაუმართლებელი დალატი საკუთარი სახელმწიფოს მიმართ. ქაოსმა მოიცვა ქვეყანა, მიღ-

იოდა მარცვა ქუჩაში, ხალხის დახვეწა. არავითარი სამოქალაქო ომი საქართველოში არ მომხდარა. უბრალოდ სამხედრო ხუნტამ დაამხო კანონიერი ხელისუფლება.

უახლოესი ახალი ისტორია გახდა უკვე მრავალჯერ ჩადენილი დალატის მოწმე. ახლაც დიდი შიში მაქვს, იგივე არ განმეორდეს.

მინდა მოვიგონო ზვიადის ჩამოსვლა ოზურგეთში (ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, მიტინგს ვატარებდით თეატრის კიბეებზე). ველოდით მის ჩამოსვლას ჩონატაურიდან. კაი ხანს შეგვიანდა, ხალხით გატენილი მოედანი მის ჩამოსვლას ელოდა. მე სიტყვას ვამბობდი, როცა ზვიადი, თავისი თანმხლები პირებით მოედანზე შემოვიდა, კიბეებზე კი არ ამოვიდა, არამედ ბაღის კიდეში შეჩერდა. ჩამოვარდა სიწუმე, მე ცოტა დავიბენი, რეაგირება დამიგვიანდა, ბოლოს მიკროფონით მივმართე: – ბატონო ზვიად, გელოდებით. კიბეებზე. ხალხი ორად გაიყო და ზვიადი წამოვიდა თავისი მეგობრებით, ისე ტაშის გრავლით ამოვიდა კიბეებზე. მიკროფონი მივაწოდე, უარი გეითხრა, – მე სულ ბოლოს გამოვალ სიტყვით. სკამი მივართვით, ჩვენს უკან დაჯდა. ჟურნალისტები დაეხვივნენ, მასხვებს, ნინო გოგუაძემ (აწ გარდაცვლილი) კითხვა დაუსვა: რას იტყვით საქართველოს პატრიარქზე? (მაშინ დადიოდა მთავარი ხმები მათ დაპირისპირებაზე), ზვიადმა უპასუხა: – პატრიარქმა შეუძლებელი შეძლო, რაც შეეძლო, გააკეთა, ახლა ჩვენ უნდა გავაგრძელოთ დაწყებული საქმე და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ბოლოს სიტყვით გამოვიდა, მიმოიხილა არსებული მდგომარეობა თუ როგორ, მშვიდობიანი გზით უნდა მიგვეღწია ხელისუფლების შეცვლა. გურულებზე პოზიტიურად ისაუბრა..

გურულები ყოველთვის იდგნენ

ეროვნული მოძრაობის ავანგარდში და ახლაც ასეაო. მიტინგის შემდეგ ბატონი ზვიადი წაიყვანეთ სოფელ შემოქმედში, მაყვალა გალოგრეს ოჯახში, სადაც სუფრა გვექონდა გაშლილი. ჩვენთან იყო მამა ნიკოლოზი, რომელმაც გახსნა ჩვენი საზეიმო სუფრა, აკურთხა და თამადად მე დამინწა. თავი უხერხულად ვიგრძენი. ბატონმა ზვიადმა შემაგულიანა. ჩემს პირდაპირ იჯდა. საუბარში ისეთი ალალი, თავმდაბალი იყო, გამიკვირდა. ჩემს ახალგაზრდობაში შეგენდები დადიოდა ზვიადსა და მერაბზე. ჩემთვის სიურპრიზი იყო მისი უშუალოება, უბრალოება. კიდევ იმდენა, იცეკვა ჩვენთან და ჩვენსავით დათვრა.

კიდევ ბევრი მაქვს მოსაგონარი, გაზეთის ფორმატი არ მაძლევს საშუალებას აღვწერო ის პერიპეტები, რაც მაშინ ხდებოდა. თუ სხვა დროს დამითმობენ გვერდს, კვლავაც მოვყვები, რადგან გული მტკივა სათანადოდ რომ არ აშუქებენ ჩვენს უახლოეს ისტორიას, ხანდახან „ზრდილობის“ გულითთვის გაიხსენებენ ეროვნული მოძრაობის გმირს. (გამონაკლისია გიორგი კალანდიას მოგონებები ზვიადზე).

დღემთი საუკუნეში ასეთ კაცს ერთს ან ორს მოაღწენს ქვეყანაში, რომლებიც გზას უნათებენ მთლიანად ქვეყანას, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს თუ როგორ კვლავ ჩვენს მომავალს. საუკუნის დასაწყისში ილია მოგვივლინა დღემთი, დასასრულს – ზვიადი და მერაბი. ისინიც გავიმეტეთ რას ვიზამთ, როგორც უფალი ბრძანებს: „თვალნი აქეთ, არა ხედვენ, ყური აქეთ და არა ისმენენ“

პასტანოვ მაგიფილი,
მხატვარი, საქართველოს პელსინკის კავშირის ოზურგეთის გამგებობის წევრი.

გურულების სიზმარი

„გურულების სიზმარი“ ქართული ვალსია, იგი ეკუთვნის ქართველ კომპოზიტორს და პედაგოგს არტემ კვაჭანტირაძეს დაიწერა 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში.

არტემ კვაჭანტირაძე დაიბადა 1879 წლის 29 ნოემბერს სოფელ ოქრის-ქედში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ბავსის სკოლაში, ჯერ კიდევ ყრბობის წლებში გამოამჯავრა მისწავლება მუსიკალური განათლებისა, მშობლებმა მოუხდევად ლუხვი ცხოვრებისა, მინც მოახერხეს და ოდესის მუსიკალურ სასწავლებელში მამარეს ბუნებით ნიჭიერმა ჭაბუკმა ეს სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. იგი სწავლობდა პრივეტორ კლაინერთან, რომელმაც ნიჭიერ მოსწავლეს ურჩია ვარშავის კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება. ვარშავის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული არტემ კვაჭანტირაძე პედაგოგიურ საქმიანობას იწყებს ქუთაისის გიმნაზიაში.

1905 წლის რევოლუციის დღეებში ქუთაისის ქართული გიმნაზიის კლდეებში პირველად გაიშა სასულიერ ორკესტრის ხმაგიმნაზიის მოსწავლეები პირველ ხანებში თითქოს ვერ ეგუებოდნენ მუსიკალურ ინტრუმენტს, მაგრამ ნიჭიერი პედაგოგის დახმარებით მათ მოკლე დროში აუთვისებდნენ მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა.

1906 წელს არტემ კვაჭანტირაძემ გიმნაზიასთან ჩამოაყალიბა საქართველოში პირველი სიმფონიური ორკესტრი. როგორც მუსიკალური სკოლა ისე სიმფონიური ორკესტრი მოთავსებული იყო გიმნაზიის ეზოში, ერთ სართულან შენობაში ქუჩის პირას (შემდეგში ქუთაისის მთავარი მუსიკალური სკოლა).

მუსიკის პედაგოგ-კომპოზიტორს

ყოველმხრივ ხელს უწყობდა გიმნაზიის მუსიკური-ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი. გიმნაზიაში მისი დახმარებით არტემ კვაჭანტირაძის სათავეს გაეცა 1918 წლის 18 იანვარი. მთეცა ეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელ არტემ დიმიტრის ძე კვაჭანტირაძეს მხედ, რომ იგი 1905 წლიდან დღემდე მსახურობს სათავადაზნაურო გიმნაზიაში, საქმეს კვირება იშვიათი გულმოდგინებით და სიყვარულით. მიზიდა მოსწავლეები და ჩამოაყალიბა ორი, როგორც სიმფონიური, ისევე სასულიერ ორკესტრი, რომლებიც ძალიან კარგად ასრულებენ მსიკალურ პიესებს, ისე რომ მისი საქმისადმი ამაყარი დამოკიდებულების შედეგად სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეთა ორკესტრების საქმიანობაში ერთ-ერთ პირველი ადგილი უკავია ქუთაისის სასწავლებლებს ასეთვე ორკესტრების რიგებში, რის გამოც ბატონი კვაჭანტირაძე არა ერთხელ იქნა საუკეთესოდ დასასთანებული პრესის მიერ, ხოლო ადგილობრივ თავადაზნაურთა და ქუთაისის მთელი საზოგადოების მიერ მადლობით.

ხელს აწერს გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი

ღვაწისილი პედაგოგი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მუშაობდა 19-05 წლიდან 1919 წლამდე ამ ხნის განმავლობაში მან არა ერთი თაობა აღზარდა.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა მინდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, ოპერებს, ვალსებს, სიმღერებს, სამწიგნობროდ როგორც ვადმოქცევენ ბევრი მთავანი განხუვლია, ზოგჯერ ოჯახებში, რომლის მიკვლევა დღეს რა თქმა უნდა ძალიან ძნელია.

მისი ნაწარმოებებიდან საინტე-



როსია „გურულების სიზმარი“. მთხედვად რეაქციის შეგნელი ძალების თარეშისა, ნასაკრავლს ბრძოლის ხმები მუსიკალურ ენაზე ამტყვევდა.

ნასაკრავლის გმირულ ბრძოლას არტემ კვაჭანტირაძემ მოუძღვნა პირველი ქართული ვალსი, რომელსაც მამინდელი ცენზურის თვალის ასახვევად „გურულების სიზმარი“ უწოდებს ვალსი 1905 წელს ქალაქ მოსკოვში დაიბეჭდა გიორგის მუსიკალური ლიტერატურის ლითოგრაფიაში, ნაწარმოები კარგა ხანს მოკვლეული ყოფილა და იგი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოკვლეულია მისი გადარჩენილი ერთადერთი მხატვრული ნაწარმი. ჩვენთვის უცნობია თუ სად ინახება ახლა ეს გადარჩენილი ვერსიონი.

საინტერესოა მეორე ვალსის შექმნის ისტორიაც ოცდარვა წლის კომპოზიტორის დიდი მწიგნობარება გაწეული ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული მკვლელობის გამო და

სულ მოკლე დროში დაუწერია ილიასადმი მიძღვნილი ვალსი „დარდი საქართველოზე“. ეს ვალსი ილია ჭავჭავაძის დაღუპვის წლისთავზე შეუსრულდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ორკესტრის ეს ნაწარმოების 1908 წელს დაუბეჭდავს ავტორის ვერსიის ლითოგრაფიისა.

საეკლესიოსტების აზრით არტემ კვაჭანტირაძე ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორთაგანია, რომელმაც საქართველოში შექმნა ქართული ვალსი. ასევე მკვლევარებს შემთხვევით მოკვლეულია ავტორის „ქართული იანა“, რომელიც ავტორის ხელნაწერის სახით დაუტოვდა.

თბილისის მკვიდრ მუსიკოს ნიკოლოზ ჭიჭინაძესთან აღმოჩენილია არტემ კვაჭანტირაძის მიერ შედგენილი ქართული ხალხური სიმღერების მუსიკალური კრებული, რომელსაც „საქართველო“ ეწოდება ნიკოლოზ ჭიჭინაძეს ეს ნაწარმოები გადაუწერია ისტორიისული კრებულის, რომელიც უნდა ინახებოდა ბათუმში. აღნიშნულ კრებულში შეტანილი ყოფილა 29 სიმღერა, რომლებიც „სამშობლო“ და „დავრდობილი სრული“ კომპოზიტორ ანდრია ყარაშვილს მატუთებენ დანარჩენი 27 – კომპოზიტორ არტემ კვაჭანტირაძეს.

კომპოზიტორი ზრუნავდა იმისთვის, რომ დაეწყობინა საზოგადოებრივი სიმღერების, მას წარმატებით შეუსრულდა ეს მისი. იგი წლების განმავლობაში იწერდა და ატუმბავდა ხალხურ სიმღერებს. 1910 წელს კრებულის სახით დაუტოვდა შთამომავლობისათვისამ

კრებულში შეტანილია შემდეგი სიმღერები: „უზუნდარა“, „ნიკო-ნიკო“, „ავარა“, „ჩარი-ჩარი“, „ჩემო ციციანო“, „გაფრინდი შავი მერცხალი“, „მერცხალი“, „მხოლოდ შენ ერთს“ (ხალხური), „სულიკო“, „სადარბაზო“ და სხვა.

როგორც ირკვევა, არტემ კვაჭანტირაძეს გარდა ვალსებისა და სიმღერებისა ჰქონია სხვა მუსიკალური ნაწარმოებებიც მათ შორის ოპერაც მაგრამ ისინი მკვლევარი და აღმოჩენილი არ არის. სამწუხაროდ, როცა არტემ კვაჭანტირაძე გარდაიცვალა 1919 წელს მისივე სახლში სოფელ ოქრის-ქედში დარჩენილი ნივთები და პირადი არქივი მეზობლებისა და ახლობლების დაუდევრობით დაწვარა და დაკარგულა ეს რომ არა ალბათ ბევრი საინტერესო მასალა გვეჩვენებდა მისი მოღვაწეობის შესახებ.

ალბათ ამით უნდა დავესრულებინა მისი მოღვაწეობის ამსახველი მასალების თხრობა რომ არა მისი ძალზე საინტერესო ისტორიული თხრობითი მისი სახლის წერილები, განსაკუთრებით მისი „ოქრის-ქედი“ გამოქვეყნებული ქუთაისის გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფურცლებზე 1918 წელსამ წერილში ისე აღწერს მის სოფელს და ტოპონიმისას სურვილი გამიჩნდა მკითხველისათვის მიმეწოდებინა სრულად აი ისიც, ხშირად უთქვამთ ჩემთვის სადაური ხარი და პასუხად მიმიცია „ოქრის-ქედი“ მთიქ ჩადაც ხუმრობასავით მოუღიათ და ზოგჯერ არ დაუგერებიათ, ამიტომ ვერ მოკვლე მოგახსენებთ სად არის ჩემი სოფელი და რა თვისებისა არის ოქრის-ქედი გურიაში. სოფელ ბავსის მახლობლად, რომელიც წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ გორაკს, რომელსაც აღოსავლეთიდან ორი მდინარე ჩამოედის ერთი მარჯვნივ და

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ ვაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-8, 2021 წ



თეთრეულის მოსაკითხად ლუბა წავიდა და მალევე დაბრუნდა. ბიძაშვილ-მამიდაშვილს თხოვა კუპი-დან გასულიყვნენ, რომ საწოლი დაეყო. ოვანესი და გარუნი ტამბურში გავიდნენ სიგარეტის მოსაწევად.

— გარუნ, როგორც კი ჩახვალ მოსკოვში, ტაქსი აიყვანე და სმოლენსკში წადი, ამ მისამართზე, — ჯებიდან კონვერტი ამოიღო მიდი, — იქ ჩემი „ბრატა“ ცხოვრობს, ერთად ვივადეოთ, ეს წერილი გადაეცი და მოგხედავს. აქ ყველაფერი წერია, როგორ და სად უნდა იცხოვრო. ლუბას დაუყვავე და ხელში გყავდეს, ზედმეტი არაფერი უთხრა, მან არ იცის ჩვენი ამბავი და არც ის, რა ჩამოიტანა ირინამ მისი საშუალებით. ქალს ნუ ენდობი, თორემ ვერ იმართლებ თავს ვერავისთან. სადაც გეტყვიან, იქ იცხოვრებ და შემდეგ ცხოვრება გასწავლის, როგორ მოიქცე. მე ამ საქმიდან მალე გამოვბრუნდები და თვითონ გნახავ. დანარჩენი შენ იცი, თვალში არავის გაეჩხირო. ფული გაქვს, იქნებ რაიმე საქმეც წამოიწყო. რაც მოხდა, დაივიწყე, იქაურობაც დაივიწყე. ჩვენ მხოლოდ სიბერეში თუ ჩავალთ იქ, რაც შეეკვება. მოკლედ, შევედით ახლა კუპეში და დავწვეთ, არ გვინდა, ვინმემ თვალი მოგვაშტეროს.

გარუნმა სინათლე ჩააქრო, ის და ლუბა ქვედა საწოლებზე დაწვენი, ოვანესი ზედაზე მოთავსდა, ვერ დაწვებოდა, რადგან ტანზე ძვირფასეულობა ჰქონდა შემოკრული. ამიტომ, თავით მიეყრდნო კედელს და ასე ჩათვლიდა ცოდვისგან დამძიმებულმა.

მიდიოდა მატარებელი თავისი გრაფიკით. როცა მგზავრებს გაედვიდათ, საქართველოს კარგა ხნის გაცლილებული იყვნენ. თორმეტი საათი სრულდებოდა.

— ჩაი ხომ არ დაგველია, ბიჭებო? — იკითხა ლუბამ.

— აქ მოვატანინოთ გამცილებელს.

— არა, ლუბა შემოიტანს და შეკვეთასაც ის მისცემს. არ გვინდა ზედმეტი ფორიაქი კუპეში.

— ლუბა, ხომ გაიგე, საყვარელო, ნათქვამი? ჰოდა, მოწესრიგდი და ჩაის მოტანა სთხოვე გამცილებელს, შემოტანით კი, შენ შემოიტანე კუპეში. გასაგებია, ხომ?

— ახლავე, გარუნ. — გულწრფელად უპასუხა ლუბამ და შეეტყო, რომ გარუნის სიყვარული ძალუმად შეპარვოდა.

— სათითაოდ გადიოდნენ კუპიდან ხელ-პირის დასაბანად და ტუალეტის მოსათავებლად. არავის ეჩხირებოდნენ თვალში. თითქოს შეუმჩნეველნი იყვნენ. კარზე კაკუნი გაისმა, ჩაი მოტანილიყო, გამცილებელმა. ლუბამ

კარი გააღო და ისე ოსტატურად აიღო სამივე ჭიქა, გამცილებელ გოგონას ძალიანაც რომ მოუნდომებინა, ვერ დაინახავდა, ვინ იყო კუპეში. ოვანესმა ეს უმაღ შეამჩნია და ჩაიღიმა.

— ჩაი ჩაია, მაგრამ საჭმელი? — აქ, გაჩერებაზე სოფლის ქალებს შემწვარი ქათამი, მოხარშული ხორცი, ლორი, მჟავე და სხვა გემრიელი საჭმელები გამოაქვთ გასაყიდად. ლუბა ჩავა, შეარჩევს და ამოიტანს იმდენს, რამდენიც ხვალ დილაზე გვეყოფა. ხვალ კი ახალი ვიყიდოთ. — თქვა და თვალი ისე ჩაუკრა გარუნს, ლუბას რომ არ შეუმჩნევიდა.

სამ საათზე კუპეში ლუბამ გააწყო სუფრა. უგემრიელესი იყო სოფლის საჭმელები, არაფერი აკლდა მხოლოდ.

— არაფი?

— მატარებელს არაფი არ უხდება.

— ქათმის ხორცი ჩაბინა ოვანესმა.

— ხასიათზე მოსასვლელად ცოტა კარგი იქნებოდა, თან მიგვაჩვიეთ სოფელში, — სიცლით თქვა ლუბამ.

— ცოტა შეიძლება, მაგრამ მატარებელი დაიდრა და რესტორნიდან მოტანა არ გვინდა, ვილაც შემოგვესტუმრება.

— სტუმრები არც მე მინდა, არაფი კი აგერაა. — ლუბამ სუფრაზე ნახევარლიტრიანი შინნახაი არაფი დადო, გლეხი ქალებისგან ყვდა, — ხორბლისაო, მითხრეს.

მითითებდნენ სადილს და ჩაის ჭიქებით სვამდნენ ცოტ-ცოტა არაფს. ოვანესმა შეატყო, რომ სასმელი გეივდებოდათ და ბოთლს საცობი დაახურა.

— საკმარისია. გრძელი გზა გვაქვს, იქნებ ვინმე ჩვენს კუპეში შემოვიდეს და მთვრალეები ხომ არ დავხვდებით?

აღმა, კუპის კარი გამოაღო და დერეფანში გაიხედა, არავინ იყო. გარუნს ანიშნა, გამოდი, სიგარეტი მოეწიოთო, ლუბას კი უთხრა, მიალაგე აქაურობაო. ტამბურში სიგარეტს მოუკიდეს. ფანჯარაში იხედებოდნენ, ამიტომ, ვისაც არ უნდა გაეგლო, მათ სახეს ვერ დაინახავდა. უკიდურესად ფრთხილობდა მარტიკიანი. უნდა ჩააღწიოს როსტოვში, ამათმა კი — მოსკოვში, მერე გააჩნია რა ილბალზე დაჯდება. მთავარია, უდენტის გვაში გვიან ნახონ. იქნებ ვინმემ ნატანების სადგურში დაინახა, იცნო და მდევარი დაადვენეს? იცის რომ, მკვლელისთვის დახვრეტაა. ირინას გვაშს სანამ ნახავენ, ყველაფერი გარკვეული უნდა ჰქონდეს. აჭარდიან გადავიდოდა თურქეთში, მაგრამ იქ ხომ დახვდებოდნენ და გაატყავებდნენ. „პოლტავსკის“ ღრმა ფესვები აქვს. ამიტომ აქ უნდა გაარკვიოს ყველაფერი და შემდეგისთვის

შემდეგ იფიქროს. მესამე სიგარეტს მოუკიდა ზედიზედ. ფიქრები აშლილი აქვს და უნდა დააწყოს. ვერ ალაგებს, გონება და შინაგანი ძალა ებრძვის ერთმანეთს. „ოლტავსკისთან“ მოაგვარა ბაზარი. მერე? დაბრუნდება ნატანებში და არონისგან დარჩენილ ფულს აიღებს. მერე? არა, არონთან დაბრუნება დახვრეტის ტოლფასია. არონი ებრაელია, შეკრული იქნება პროკურატურა-მილიციასთან, ვერ ენდობა. თურქეთში გადასვლა გამოირიცხა, ჯემალი წნეხში იქნება განატარები და აღარაა სანდო, არც არასდროს ყოფილა. აბა, სმოლენსკში კრიონისთან? გარუნთან ერთად ცხოვრება გამოირიცხებოდა. ათი წელიწადი მალვაში უნდა იყოს, ეს მაშინ „პოლტავსკის“ თუ გადაურჩა, მაგრამ ჩაუსვლელიობა დახვრეტაა, ჩამოაკითხავენ და ცოცხლად დაწვევენ, როგორც ეს მან როსტოვის ერთ სოფელში გაუკეთა ვითომ კაი ბიჭს, ფულის მოტეხვა რომ სცადა. რაც იქნება, იქნება! — უნებლიეთ ხმადაღდა თქვა.

— რაო?

— არაფერი, გარუნ, ფიქრებში წავედი. მისმინე. ხვალ დილით ჩავდივარ როსტოვში. ლუბას უთხარი, მეგობარი ნახა და გაყვა, ცოტა ხანში აუცილებლად ჩამოვლენ-თქო. კიდევ ერთხელ გაფრთხილება, არაფერში ენდო ქალს, თორემ თხსავით გაგყდის პირველივე შემთხვევაში და იძულებული იქნები, ირინას გზას გაუყვნო. ამიტომ, ფრთხილად იყავი. ჩვენ შეიძლება ვეღარ ვნახოთ ერთმანეთი. მე თუ არ მოგებნე, შენ ნულარ დამიწყებ ძებნას. ლუბას თუ რაიმე საეჭვო შეამჩნიე, ან მიატოვე და დაეკარგე საშუალოდ, ან... — გადაღებია, აკოცა და კუპეში დაბრუნდნენ.

— დილით ადრე გაიღვიძა ლუბამ. ათი საათი სრულდებოდა, გაიხიზრა და წამოჯდა საწოლზე. მაგიდაზე კალამი და ნაწერი ქალაღი შეამჩნია.

„გარუნ, ლუბა. მეგობარი შემხვდა, ჩემი დახმარება სჭირდებოდა. რომ არ გავეყოლოდი, არ შეიძლებოდა. ისე ტბილად გემინათ, არ გაგაღვიძეთ. მეგობარს დავეხმარები, მერე დავბრუნდები საქართველოში, ირინას წამოვიყვან და ჩამოვალ თქვენთან. ლუბა, წერილს რომ წაიკითხავ, ბალიში ასწიე...“

გაკონით... ასწია ლუბამ ბალიში და ოცდახუთმანეთიანების დასტა დაინახა. ორიათასხუთასი მანეთი...

— გარუნ, გარუნ, ოვანესი მეგობარს გაპყლია და ფული დაგვიტოვა. — ლამის ტირილით უთხრა ძლივს გამოღვიძებულ გულსსწორს.

— ვინც მას დახმარებია, ყველას ასმაგად უხდის. — გარუნმა წერილი უკან დაუბრუნა.

ერთი დღეც და მატარებელი მოსკოვში ჩავიდოდა.

ოვანესი კი წვერმოშვებული, კანფაფარებული, ბომჟის შესახედობით „პოლტავსკისთან“ შესახვედრად ემზადებოდა...

გენა, „სერი“ ჩამოვიდა.

— ვინ?

— „სერი“.

— ხომ არ გეშლება?

— არა, ვასია „კრივისთან“ არის, შენთან შეხვედრა უნდა.

— ვაა, „სერი“, „სერი“ მაგარი „ისპალნიტელია“, ჯერჯერობით არაფერი შემლია ჩვენს საქმეში. მართლა?

— როგორც ვიცი, მარტოა.

— დღესვე დაგვემე შეხვედრა ექვსი საათისთვის. რვაზე ჩვენს რესტორანში შეკვეთა მიეცი, უნდა ვიქეფოთ. გვექნება კი საქეფოდ საქმე? გვექნება, „სერი“ ტყუილად არ ჩამოვიდოდა. აბა, დროზე მოაგვარე, რაც ვითხარი, პეტკა.

პეტკა გენას მარჯვენა ხელი იყო. სსრკ-ს ჩემპიონი კრივში ახალგაზრდებს შორის, მერე ჩხუბზე ჩავარდა, მეგობარს სცემდნენ და დაეხმარა, მილიციაში გალახულებმა ხელი დაადეს, არაფრის გამო გვეცემაო. სპორტის მესვეურებმა უშუამდგომლეს და მხოლოდ სამი წელი მიუსაჯეს, რომელიც ბოლო წუთამდე მოიხადა და ციხიდან კაი ბიჭის სახელით გამოვიდა. უშუშეგარ პეტკას მფარველად გენა „პოლტავსკი“ მოველინა, მასთან წაიყვანა, ფულსაც აძლევდა და როგორც უკვე ვთქვით, მისი მარჯვენა ხელი განლდათ. პეტკასთან ექნებოდა საქმე იმას, ვისაც გენა „რაზბორკაზე“ ხმას აუწევდა.

პეტკა მივიდა ტელეფონთან და ნომერი აკრიფა.

— ვასია, „პოლტავსკი“ ექვს საათზე გელოდებათ სახლში, პირისპირ სალაპარაკოდ, მერე რესტორანში მივდივართ. იმედია, გვექნება გართობის საფუძველი

— იმედია, პეტკა, შეხვედრამდე. — „კრივი“ „სერის“ მოუბრუნდა, — რაც მომიყვები, არ გამტყუნებს. იცი, რომ ბოლომდე დაგიცავ. ერთი შეეკვება — ქალის ამბავი, პანფილოვა მას მაგრად უყვარდა.

— ვნახოთ, ვასია. შენი ქურდული სიტყვა უნდა შემაწიო ნაღდად მაგიარებდა. იმ „მალის“ თვალბეჭე შევატყვე სიხარული. რაღაც დიდს მიმზადებდა, რომლის სათავე აქ იყო. მერე შემოიტრიალებდნენ „ბაზარს“.

მოკლედ, ვნახოთ. დაველაპარაკები... ზუსტად ექვს საათზე პუშკინის ქუჩის №12-ში, არც თუ ფეშენებელური სახლის ეზოში შევიდნენ როსტოველი ქურდი ვასია „კრივი“ და ოვანეს მარტიკიანი, იგივე „სერი“.

კარი პეტკამ გააღოდა მოსულები შინ შეიპატიჯა. მაგიდასთან, „პოლტავსკის“ გარდა, ორი ქურდი იჯდა — კოლია „ბლანდინი“ და ვიტი „უჟასი“. ქურდები ერთმანეთს მიესალმნენ. „სერი“ შუა ოთახიდან არ დაძრულა.

— მე უნდა მოვიდე შენთან? — მკვანედ უთხრა „პოლტავსკიმ“, ამ ტონით მიახვედრა, რომ თუ რაიმე შეცდომა ჰქონდა დაშვებული, არ დაინდობდა, თან მორალური უპირატესობა მოიპოვა. მიხვდა „სერი“, იოლი გასეირნება არ ჰქონდა, სიმტკიცე გამოიჩინა, ძალა მოიკრიბა და „პოლტავსკისთან“ მიუახლოვდა, გამარჯობაო, ხელი გაუწოდა. „პოლტავსკიმ“ სკამზე მიუთითა. უხმოდ დაჯდამაგედასთან, მითითებულ სკამზე, მაგიდის თავში თვითონ გენა იჯდა, მის პირდაპირ — ქურდები, კუთხეში კი — პეტკა.

— აბა, რა ამბავი ჩამოიტანე, „სერი“?

— რაც მომწერე, შევასრულე, გენა. — შემახსენე, რა მოგწერე?

— თუ შეატყობ ვერას რაიმე საეჭვოს...

დაბრედე? თითქმის იყვირა გენამ. ფეხზე წამოხტა პეტკა და „სერისთან“ ახლოს დადგა.

„სერი“ თავი ჩაქინდრა. — დაბრედე-მეთქი?

— კი.

— რატომ? როგორ? თუ ვერ დაასაბუთებ მისი მოკვლის აუცილე-

ბლობას, მაშინ მე დავასაბუთებ შენი დაბრედვის აუცილებლობას.

— დავიწყე?

— დაიწყე, ოღონდ მოყოლის რიგითობა არ დაარღვიო.

დაიწყო „სერი“ უზუსტესი წერილმანების ჩათვლით, თითქმის სათინახევარი ისაუბრა ისე, რომ არავის შეუჩერებია.

ხელებში თავჩარგული ისმენდა „პოლტავსკი“ „სერის“ საუბარს.

— მორჩი?

— მოვჩრი.

— აუცილებელი იყო მისი მოკვლა?

— მაშინ უნდა გამოემეგა. ვატყობდი, ამ საქმიდან თავის დაძერენა უნდოდა, მომენტს ეძებდა და მიაგნო კიდევ, უბრალოდ გაგმიფრე.

— საქონელი სადაა?

„სერი“ ადგა, ჯემპრი გაიხადა, მაისურიც გადაიძრო და ტანზე ბინტშემოხვეული დადგა ქურდების წინაშე.

— ეს რა არის? დაგჭრეს და შეიხვეი თუ?..

— აქ არის ძვირფასეულობა. უთხარი პეტკას, დანით შეხსნას ბინტები.

პეტკა მიუახლოვდა, გენამ თავი აუქნა დასტურის ნიშნად. ნახევარ საათში მაგედაზე ოთხი ქურდის წინ დაახლოებით ერთი მილიონი მანეთის (???????) ოქროულობა ყვარა.

გენამ ტონს დაუწია.

— შენ არაფერი ავიდა?

— როგორც მომწერე. ვერას წილი ავიღე და ჩალის ფასად გავყიდე მახარაძეში, ერთ ებრაელს მივეცი, ცოტაც — ჩემს მამიდაშვილს, რომელიც ჩემთან იყო. ვერას რომ ახლდა, იმ ქალთან ერთად გავუშვი რუსეთის ერთ-ერთ სოფელში საცხოვრებლად.

— თურქეთში გადასვლის შანსი არ იყო?

— იმ „მალის“ აკიდების შემდეგ გამოირიცხა. თან ახლა იქ დიდი თოვლია. მასამდე იმ სოფელში ვერანაირად ახვალ.

— რაღაც გული ცუდს მიგრძობდა, მაგრამ რაცაა, ესაა. ვერას ვერ გავაცოცხლებთ. საქონელი ავიღებო. რესტორანი გველოდება. ვგულაობთ დილადად. პეტკა, „სერი“ მოაწესრიგე, საუკეთესო ტანსაცმელში გამოაწყვე და ცხრაზე რესტორანში მოდი. — „პოლტავსკი“ წამოგა, მივიდა „სერისთან“ და გულში ჩაიკრა, — „ბლანდინი“, ლენინგრადში გადაფრინდი ხვალვე, რომელიმე ნამასთან ერთად. როგორც „სერი“ ჩამოიტანა, ისე გაიტანე ეს საქონელი და ფულად აქციე. ნახევარი წაიღე. ნახევარი უნდა ჩამოიტანო. ხალხი წილს ელოდება. „მალეობა“ ხმა გაავადე, გენამ „მადლენიკები“ გადაადგო. ხმა არავისთან! იცი, ვისთანაც უნდა მიხვიდე. ფრთხილად იმოქმედე და ქალი შეარჩიე წასაყვანად, წინასწარ დარეკე, რომ მიდინარ. — ნაწვეტ-ნაწვეტად ამბობდა სათქმელს „პოლტავსკი“, რომელსაც უზომოდ გაუხარდა თავისი მოპარულის დანახვა და ახლა სურდა, ეს ყოველივე სასწრაფოდ გაეტანათ თავისი სახლიდან, რომ მალელებს რამე არ ეწნოსათ...


ცხრა საათზე პეტკა და წვერგაპარსული, კოსტუმში გამოწყობილი „სერი“ რესტორან „კავკაზში“ შევიდნენ.

(გაგრძელდება იქნება)

გურიის რესპუბლიკა გურიის რესპუბლიკის დაცემა

იბეძევა მსკლუზი უზღვრით

დასაწყისი იხ. „ალიონი“, №34-35, 1-8



1906 წლის 8 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა კავკასიის მეფისნაცვლისა და სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო ბრძანება გაუგზავნა გენერალ-მაიორ მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში „მშვიდობის დამყარებას“ ითვისაფიცებდა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად სამხედრო მდგომარეობისა, ქუთაისის გუბერნიაში ვითარება არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, გამწვავდა და აჯანყებაში გადაიზარდა: პოლიციის სტრატეგიკის განიარაღება და პოლიციის იარაღის მიტაცება ჩვეულებრივ ამბად იქცა; რკინიგზის ხაზების დაზიანების გამო შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა; რკინიგზის სადგურები დაიკავეს აჯანყებულთა რაზმებმა; შეიარაღებული სარაზმებმა დაიკავეს სურამის სარკინიგზო ვიარაღი და თბილისსა და ქუთაისს შორის მოძრაობის შეწყვეტის მიზნით გვირაბი ლიანდაგიდან გადასული ორთქლმავლით გადაკეტეს; სარკინიგზო ვიარაბში მოძრაობის აღდგენის მიზნით სადგურ წიფაში თენგიზის 77-ე ქვეითთა პოლკის ასეული გაიგზავნა, სამხედროებს აჯანყებულებმა სროლა აუტყვეს, მოკლეს 3 და დაჭრეს 1 კახაკი; აჯანყებულებმა მოკლეს თენგიზის პოლკის ასეულის მეთაური, რომელიც ბელოგორიდან (ხარაგაულიდან) ყვირილაში (ხესტაფონში) მიდიოდა; მათ განაიარაღეს თენგიზის პოლკის ასეული, ამ შეჯახების დროს მოკლეს 1 და დაჭრეს 3 კახაკი. გუბერნიაში წესრიგის აღდგენის მიზნით:

1. ქუთაისის გუბერნიიდან გაიწვიეს გუბერნატორი კლადიმირ სტაროსელსკი;
2. ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა და დროებით სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი, რომელსაც დაუქვემდებარეს გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარები;
3. ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა: თბილისიდან – პოლკოვნიკი გავრილოვის მეთაურობით ქვეითთა 6 ბატალიონი, მესანგერთა 1 ასეული, პლასტუნთა 1 ასეული, 4 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, კახაკთა 3 ასეული; ბათუმიდან ოზურგეთისა და სამტრედიის გავლით – პოლკოვნიკი კრილოვის მეთაურობით ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი 4 ქვემეხითა და პლასტუნთა 0,5 ასეული;
4. გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის მომავალ მოქმედებათა და განკარგულებებში სრულ

ლი დამოუკიდებლობა მიენიჭა და დაეკავა:

- ა) დაუყონებლივ აღადგინოს მთელ გუბერნიაში სახელმწიფო წესრიგი, უზრუნველყოს სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირება;
- ბ) შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის თანახმად, განაადგუროს რევოლუციური ორგანიზაციები, დააპატიმროს საგაფიცო და სხვა კომიტეტების წევრები;
- გ) დაუყოვნებლივ განადგურდეს ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები არა მარტო ქალაქ ქუთაისში, არამედ გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე;
- დ) მოსახლეობის მხრიდან აჯანყების მოწყობის ან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჯარმა იმოქმედოს შეურაცხებლად, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარი შტაბის 1905 წლის 26 დეკემბრის №9965 დეპეშის შესაბამისად.

ბრძანება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ებრძანებინა, რომ ჯარი ვალდებულია სროლას სროლითვე უპასუხოს და ჩაახშოს შეიარაღებული წინააღმდეგობის უმნიშვნელო მცდელობაც კი.“

იმერეთის სოფლებისა და ქალაქების დარბევის შემდეგ დამსჯელი ექსპედიცია გურიას მიადგა. 1906 წლის 10 იანვარს დამსჯელი ექსპედიციის ერთი რაზმი (ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი 4 ქვემეხითა და პლასტუნთა 0,5 ასეული) სადგურ ბათუმიდან სადგურ ნატანებში ჩავიდა. ჯარისკაცები მაშინვე შეუდგნენ სახლების, მალაზიებისა და დუქნების ჩხრეკას, რომლის დროსაც, რაც კი ღირებული იყო, გაიტაცეს. ჩხრეკის დასრულების შემდეგ ყველა სახლი, მალაზია და დუქანი გადაწვეს. იმ დღეს ნატანებში არავინ მოუკლავთ.

11 იანვარს პოლკოვნიკი კრილოვი რკინიგზის სადგურ ნატანებიდან ოზურგეთისაკენ გაემართა. გზაში მას ოზურგეთიდან გამოგზავნილი დეპუტაცია შეხვდა, რომელსაც სურდა გაერკვია გურიაში ჯარის შესვლის მიზეზი. პოლკოვნიკმა კრილოვმა დეპუტატებს განუცხადა, რომ მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში რეპრესიებს არ მიმართავდა. მოთხოვნები კი ასეთი იყო:

1. გურიაში მოქმედი ავტორიტეტის გადაცემა (პოლკოვნიკმა დეპუტაციას გადასცა ამ ავტორიტეტის სია);
2. გურიაში თავშეფარებული რუსი დეზერტორი ჯარისკაცების გადაცემა;
3. 1906 წლის 1 თებერვლამდე 1905 წლის გადაუხდელი გადასახ-

ადებისა და 1906 წლის გადასახადების გადახდა;

4. მოსახლეობაში არსებული იარაღის ჩაბარება;
5. 1906 წლისათვის დაგეგმილი ჯარში გაწვევის კამპანიის დროულად დასრულება.

დეპუტატებმა პოლკოვნიკ კრილოვს განუცხადეს, რომ მის მოთხოვნებს მოსახლეობას ვეცნობდნენ და ყველა მოთხოვნა შესაძლებლობის ფარგლებში შესრულდებოდა. ოზურგეთში დაბრუნებულმა დეპუტატებმა მოსახლეობას განუცხადეს, რომ კრილოვი რეპრესიების გატარებას არ აპირებდა. ხალხიც დამშვიდდა და ქალაქიდან განიზვნა გადაიფიქრა. ოზურგეთში შესულმა პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიციის რაზმმა ყველა სახლი გაჩხრიკა და გაძარცვა. ისევე, როგორც ნატანებში, ჩხრეკისა და მარცვის დასრულების შემდეგ ქალაქში ხანძარი გაჩნდა. იმ დამით მხოლოდ 6 სახლი დარჩა. შემინებულმა მოსახლეობამ ტყვეებსა და მიწებს შეაფარა თავი. გაჩხრნილი ქალაქისა და ბავშვების ნაწილი სიცოცხემ იმსხვერპლა. ხალხი განსაკუთრებით ადრევე გაერკვებულმა ხეობაში, რომ რუსები ქალებს აუპატიურებდნენ. 12 იანვარს ოზურგეთში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც თითქმის ყველა სახლი, მალაზია და დუქანი განადგურა.

პოლკოვნიკ კრილოვის მიერ ოზურგეთის დარბევის შემდეგ გურიის ყველა სოფელში მოსახლეობის კრებები გაიმართა. სასოფლო თემებიდან 10-10 დეპუტატი აირჩიეს, რომლებიც კრილოვს უნდა შეხვედროდნენ. პოლკოვნიკმა დეპუტატები ცივად მიიღო და ზემოთ ხსენებული 5 მოთხოვნა გაიმეორა. ამჯერად კრილოვმა დააზუსტა, რომ მოსახლეობას 3.000 მაშხანა, რევოლვერები და ვაზნები უნდა ჩაეზარებინა. დეპუტატებმა პოლკოვნიკს განუცხადეს, რომ გადასახადებს გადაიხდიდნენ, მაგრამ არა დაუყოვნებლივ, არამედ მაშინ, როდესაც ამის შესაძლებლობა ექნებოდათ. დეპუტატებმა ასევე თანხმობა განაცხადეს ახალგაზრდების ჯარში გაწვევაზე. ამასთან ერთად, მათ კრილოვს განუცხადეს, რომ ავტორიტეტსა და რუს დეზერტორ ჯარისკაცებს ვერ გადასცემდნენ, რადგან არ იცოდნენ, სად აფარებდნენ თავს ისინი. დეპუტატები იარაღის გადაცემაზეც დათანხმდნენ, მაგრამ განაცხადეს, რომ ამ რაოდენობის იარაღი გურიაში არ იყო, მოსახლეობას მაშხანები არ გააჩნდა, მათ მხოლოდ ბერდანის ტიპისა და სანადირო თოფები ჰქონდათ. კრილოვი დაჟინებით ითხოვდა 3.000 მაშხანის ჩაბარებას. დეპუტატებთან შეხვედრის შემდეგ კრილოვმა ჯარის ნაწილი სოფელ ნაგომარში გაგზავნა. რუსებმა ნაგომარი მიწასთან გაასწორეს, გადაწვეს 200 სახლი და განადგურეს ხორბლის მთელი მარაგი. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ყველანი დახოცეს, ბევრი ცემის შედეგად დაასახინრეს. სოფელ აკეთში დამსჯელებმა 40 სახლი გადაწვეს და მთლიანად განადგურეს სიმინდის მარაგი, რომლითაც მოსახლეობა იკვებებოდა, სოფელ აცანაში განადგურდა 30 სახლი და სიმინდის მთელი მარაგი. ჩოხატაურში გადაწვეს 20 სახლი და დაბა მთლიანად გაძარცვეს. სოფელ ლანჩხუთში კრილოვმა მოსახლეობას

ვინმე წილოსნის გადაცემა მოითხოვა, რომელიც ციხიდან იყო გაქცეული. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლკოვნიკი სოფლის მიწასთან გასწორებით იმუქრებოდა. საბოლოოდ კრილოვმა თავი შეიკავა, რადგან მიხვდა, რომ გურულები აჯანყების მეთაურებს არ გასცემდნენ. მართალია, ლანჩხუთი მიწასთან გასწორებას გადარჩა, მაგრამ საკმაოდ სერიოზულად დაზარალდა.

იარაღის ჩაბარება ჭიანჭურდებოდა. ვიღაცამ რუსებს აცნობა, რომ გურულები იარაღს კუბოებში აწყობდნენ და სასაფლაოზე მარხავდნენ. გაბოროტებულმა რუსებმა ახლად დაკრძალული მიცვალებულების კუბოები ამოიღეს და გაჩხრიკეს.

პოლკოვნიკ კრილოვის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, გურიაში სახელმწიფო წესრიგი ვერ აღდგა, შეიარაღებულმა რაზმებმა დროებით ტყვეს შეაფარეს თავი. 1906 წლის 5 თებერვალს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობაში აღმსრულებელი ტატანჩენკო გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის სთხოვდა:

1. აჯანყებულთა სრულად დამშვიდებად ქალაქ ოზურგეთში დარჩეს ქვეითთა 3 ბატალიონი, 2 სავალე ქვემეხით და კახაკთა 3 ასეული. ეს სამხედრო ძალა ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციას უნდა დაექვემდებარებოდა;
2. ჩოხატაურსა და ლანჩხუთში დარჩეს ქვეითთა 2-2 ბატალიონი თითო სავალე ქვემეხით და კახაკთა თითო ასეული;
3. ოზურგეთის მაზრაში გაორკედეს სტრატეგიკა რაოდენობა ისე, რომ მან 180 კაცს მიადწიოს. ამ რაოდენობის სტრატეგიკა შენახვა თვეში 35.000 მანეთი დაჯდება;
4. დროებით დაშვებული იქნას პოლიციის პრისტავის 2 შტატი (თითოეულ პრისტავს თვიური ხელფასი - 1.200 მანეთი), ისე, რომ ამ პრისტავებს კონკრეტული რაიონი არ ჰქონდეთ გამოყოფილი, რადგან მაზრის უფროსის უშუალო დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდნენ და ასრულებდნენ მის ბრძანებებს;
5. პოლიციას აგენტების ვარეშე დანაშაულის გახსნა არ შეუძლია, აგენტების დასაქირავებლად კი პოლიციას თანხა არ გააჩნია, რის გამოც მაზრის უფროსს ამ მიზნით უნდა მიეცეს 1.000 მანეთი.

ეს დოკუმენტი ნათლად მეტყველებს, რომ დამსჯელი ექსპედიციის მოქმედების მიუხედავად, გურიაში რევოლუციური გამოხვედრების საშიშროება კვლავ არსებობდა.

1906 წლის თებერვლის ბოლოს პოლკოვნიკმა კრილოვმა გურიის ყველა სოფლიდან თითო წარმომადგენელი ოზურგეთში დაიბარა და წინადადება მისცა ხელი მოეწერათ დოკუმენტზე, რომელშიც აღნიშული იყო: ჯარისკაცები გურიაში მოსახლეობას არ მარცვავენდნენ, ხოლო გახუთებით გავრცელებული ცნობები დარბევისა და მარცვის შესახებ მოგონილი იყო. დეპუტატებმა პოლკოვნიკს უპასუხეს, რომ რაც გახუთებში ეწერა, ყველაფერი სიმართლეა, ოღონდ გასათვალისწინებელია ის, რომ საგაზეთო ცნობები დარბევისა და მარცვის მხოლოდ მეთედს ასახავს. სოფლების წარმომადგენლებმა კრილოვს განუცხადეს, რომ

გაზეთებში დაბეჭდილ მასალას მოწმეები დაადასტურებდნენ, რაზეც კრილოვმა უარი განაცხადა.

1906 წლის 10 მარტს დამსჯელმა ექსპედიციამ სოფელ ხდისთავში სახლების უმრავლესობა გადაწვა. 11 მარტს დამსჯელები სოფელში ოთხთვალეებით შევიდნენ, რათა ნაბარცვი ქონება წაეღოთ, ხოლო შემდეგ სოფელი მთლიანად გადაწვეს. კახაკები მათრახებით დაერივნენ მოსახლეობას. 23 მარტს დამსჯელების 300-კაციანი რაზმი არტილერიის თანხლებით სოფელ სურებში ავიდა. მოსახლეობას კრილოვმა ასეთი მოთხოვნა წაუყენა: თითოეულ კომლს 1 მაშხანა უნდა ჩაეზარებინა, გარდა ამისა, ჯარისათვის უნდა გადაეცათ 2 ქვემეხი, 200 ბომბი, 5 ავტორიტორ-პროპაგანდისტი. ძალაში დარჩა მოთხოვნა გადასახადების დაფარვის შესახებ. სურები საფუძვლიანად გაძარცვეს და გადაწვეს. მარცვა და ხანძარი არ ასცდა გურიის ბევრ სოფელს.

აჯანყებულები წინააღმდეგობას უწევდნენ დამსჯელი ექსპედიციის თარეშსა და მათ სამსახურში მყოფ ქართველებს. 1906 წლის 11-12 იანვარს ღამით აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის გარეუბანში დაბანაკებულ ჯარის ნაწილს. ორმხრივ სროლაში არავინ დაღუპულა. 19 იანვარს რევოლვერიდან გასროლით დაჭრეს სოფელ ბახვის მცხოვრები გადამდგარი პორუჩიკი ივლიანე ანთაძე. 26 იანვარს სოფელ ლანჩხუთში მოკლეს ვინმე სალუქვაძე, თავდამსხმელთაგან ერთი დააკავეს.

1906 წლის იანვარ-თებერვალში დამსჯელმა ექსპედიციამ გურიაში ბევრი აჯანყებული დახოცა, ბევრი დააპატიმრეს, თუმცა ხელისუფლებას დამშვიდების საფუძველი არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ 1906 წლის 12 თებერვლის მონაცემებით გურიის საქსპედიციო რაზმი (მეთაური პოლკოვნიკი კრილოვი) კვლავ ოზურგეთის მაზრის ტერიტორიაზე რჩებოდა: ნატანებში – ნავაგინსკის ქვეითთა 78-ე პოლკის ბატალიონის 1 ასეული, ლანჩხუთში – ნავაგინსკის ქვეითთა 78-ე პოლკის 2 ასეული, ჩოხატაურში – ნავაგინსკის 78-ე ქვეითთა პოლკის 5 ასეული, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის 2 ქვემეხი, ოზურგეთში – ხერსონის ქვეითთა 130-ე პოლკის 2 ბატალიონი და 33-ე საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის 2 ქვემეხი, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის 4 ქვემეხი, ლანჩხუთის კახაკთა პოლკის 0,5 ასეული.

1906 წლის ზაფხულისათვის გურიაში რევოლუციური მოძრაობის უმთავრესი კერები განადგურებული იქნა. თუმცა, რევოლუციური გამოხვედრები 1906 წლის შემოდგომაზეც გრძელდებოდა. 1906 წლის 17 სექტემბერს ბენდერის 132-ე ქვეითთა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ტლამაჩვი კავკასიის მეფისნაცვალსა და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა, რომ რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში კვლავ გრძელდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

პასტანოვ გურული
საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918 წ. ტ.3. 83-352-354

ვასო ჩიგოგიძე: „თანამედროვე თეატრის ყველა თანამედროვე პრინციპს ოზურგეთის თეატრი არა მხოლოდ გადაიტანს, დამერწმუნეთ, გააუმჯობესებს“

14 აპრილს ახალი თავფურცელი ჩაიფარება ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნას სახელობის ოზურგეთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიაში, სახშირად ვითარებაში გაიხსნება ფონდ „ქართუს“ მიერ შესანიშნავად რესტავრირებული გურულების (არა მხოლოდ) საამაჟო თეატრის შენობა. ამ დღესვე დაიწყება თეატრის 153-მ თეატრალური სეზონი და განახლებულ თეატრში შედგება პირველი პრემიერა – ნოდარ დუმბაძის „მონატრება – ნუ გააღვიძებ“ რა გაკეთდა და როგორ სვდება თეატრი 153-მ თეატრალურ სეზონს – ამის შესახებ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ვასო ჩიგოგიძე** გვმსაუბრობს.

იცით, რომ თეატრი შარშან უნდა გაგვეხსნა, მაისში უკვე შენობაში უნდა ვყოფილიყავით. მაგრამ პანდემიის გამო ამ პროცესმა ადენი ხნით გადაიწია. ამ პერიოდში, რასაკვირველია, ზედმიწევნით ვიცავდით ყველა წესს ისე, რომ ფაქტობრივად არ გავჩერებულვართ. გულწრფელად ვამბობ, მე გმირების თეატრი მაქვს. შვიდი პრემიერა ისე მოვაშადავთ, ერთი საყვედურიც არ დაცდენიათ.

„მონატრება – ნუ გააღვიძებ“ – ამით დავიწყებთ ახალ თეატრალურ სეზონს. მსგავსი მცდელობა გვქონდა, ეს არის სრულიად სხვა, ინსცენირებას ავტორი ჰყავს, მაგრამ სცენიური ვარიანტი ჩემია ბოლომდე. და რატომ მონატრება? იხსენება რესტავრირებული თეატრები სხვადასხვა სპექტაკლებით, მაგრამ ჩვენ მართლაც მოგვენატრა ჩვენს შენობაში დაბრუნება, ჩვენთვის ეს არა მხოლოდ სცენის მონატრებაა, არამედ ბატონი ნოდარ დუმბაძის მონატრებაც. ამაში გაგაერთიანეთ ყველაფერი და ვთქვით, რომ ყველაფერი ეს გვენატრება, ჩვენ გავაღვიძებთ ყველაფერ იმას, რასაც შემოქმედებითი მუხტი ჰქვია.

153-ე თეატრალური სეზონის გაიხსნება 14 აპრილს, მაგრამ პრემიერები და მყურებელთა დაშვება დაიწყება 16 აპრილიდან. ბილეთები გაიყიდება სალაროში და **bileti ge-ზე**, ოფიციალურად საიტზე ღირებულების ტარირებული ვართ,

სპექტაკლს 14 აპრილსაც ვაჩვენებთ, ეს იქნება შემადგენელი ნაწილი სახეიმი ღონისძიებისა, რომელზეც მადლობა უნდა ვუთხრათ ფონდ „ქართუს“, ვინც ეს გაგვიკეთა, მოწვეული გვყავს უცხოეთის რამდენიმე დელეგაცია ევრაზიის თეატრების ასოციაციიდან, სამინისტროს წარმომადგენლები, ხელისუფლება. ფაქტობრივად 180 ადამიანის დაშვების უფლება გვაქვს, 180 ადამიანის პლუს 20 ოზურგეთელი, ის ადამიანები, ვინც სპონსორობდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოზურგეთის თეატრს. მაგალითად, **თემურ ჯახვა**, მე ამას ხნამალა ვაცხადებ, მაგალითად, **მიხეილ ჭკუასელი**, **ათანდილ დლონტი**, მე ამას მათი ნაკეთები საქმით ვასაბუთებ. იგივე **ნოდარ გოგუა**, **ათანდილ სურგულაძე**, **ალიკა ტულუში**, **გოდერძი ბაბილოძე**, **ტარიელ ჭყონია**, ეს ადამიანები გურიანთაში ჩამოდიოდნენ და ერთი ბილეთიც რომ არ იყიდებოდა, ყოველთვის ყიდულობდნენ ბილეთს,

შენობა, იცით, რომ არის ეკონომიკის სამინისტროსი, ჩვენ უფასო უზურფრუქტით ვართ შიგამიტომ, დაგვიწესეს უკვე მკაცრად საბილეთო, დაგვარეგისტრირეს **bileti ge-ზე**. ჩვენი ბილეთის ფასი იქნება 20 ლარი, 15 ლარი, 10 ლარი, 5 ლარი ადგილების მიხედვით. მე მასსოვს პერიოდი ოზურგეთში, როცა ვეხვეწებოდით, ოლონდ შემოდით და მოსაწვევსაც ვებეჭადვით და იყო შემთხვევები არ მოდიოდნენ, ფულს ვინდიდით მოსაწვევის დაბეჭდვაში და არ მოდიოდნენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მაყურებელი არ მოგვაკლდება. ნამდვილად ვერ დავეუშვებთ ბილეთის გარეშე ჩვენს დიდ გულშემოტყურებსაც კი იმიტომ, რომ სხვა საშუალება, გამოსავალი არ გვაქვს.

ამის გარდა, უკვე ტარიფები შედგენილია შენობის დაქირავების შემთხვევაში, 5 ათასი ლარია იჯარა, რომელიც ასევე ეკონომიკის სამინისტროში მიდის, ჩვენ ვაფორმებთ ხელშეკრულებას, ხოლო სამთავრობო ღონისძიებებისთვის არის 3 000 ლარი, ეს იცის ხელისუფლებამაც. ეს ფული ჩვენთან არ რჩება, მხოლოდ მცირედენი ნაწილი გვევრება მომსახურებისა

ჩვენ გონივრული ვადებით გავუშვებთ სპექტაკლებს. 31 მაისამდე უკვე დაგეგმილი გვაქვს სრული ბაღე, კვირაში ზოგ შემთხვევაში ხუთი სპექტაკლიც გვაქვს.

ჩვენ გვექნება სოციალური ბილეთები, სრულიად უფასოდ შშმ პირებისთვის, ადაპტირებულია მთლიანად შენობა, თავისი სველი წერტილებით,

ახალი სეზონიდან უკვე შემოვიღებთ სააბონენტო სისტემას. ძალიან კარგი იდეა გაუჩნდა ჩემს ადმინისტრაციას, რომ კი არ გავყიდოთ, არამედ ლოკები დაუთმოთ წარმოებებს, დაწესებულებებს. ეს იცის მაგალითად მისი სახელობის ლოკა, მოიყვანოს მისი ხალხი, ექნება მის სპეციალური სავაჭრო, იმ ლოკაში იქნება მისი სარეკლამოც, მაგალითად, „ჩაი გურიელი“, შეისყიდის წლიურად ერთი ლოკას, რომლის ფასი გაცილებით ნაკლები და მიზერული იქნება.

ვანო ხუციშვილის, საქართველოში ერთ-ერთი ახალგაზრდა მოთხოვნადი რეჟისორის, პრემიერა („სამს პლუს სამი“) შედგება 17 აპრილს მცირე სცენაზე; 23 აპრილს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დიმა ხუციანთაშვილი** წარსდგება პრემიერით ჩვენს თეატრში; 19-ში მცირე სცენა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული **ელენე მაკრონაშვილის** პრემიერას დაეთმობა, რომელიც წარმოგვიდგენს „დონ კიხოტს“ თანამედროვე თოჯინურ ჟანრში; ჩვენი მაყურებელი **რობერტ სტურუასა** და **თემურ ჩხეიძის** ნამუშევრებსაც იხილავს ჩვენთან; უახლოეს პერიოდში ასევე ნახავთ ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორის, თოჯინების



თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **საბაშვილის**, ცხინვალის თეატრის ხელმძღვანელის, უნიჭიერი რეჟისორის **გორა კაპანაძის** ნამუშევრებს.

თანამედროვე თეატრის ყველა თანამედროვე პრინციპს ოზურგეთის თეატრი არა მხოლოდ გადაიტანს, დამერწმუნეთ, გააუმჯობესებს კიდევ და მას უფრო სხვანაირად ღირებულ სახელს შესძენს.

ერთი პანდემიამ გადაიაროს და უახლოეს პერიოდში გვექნება თეატრის ფანკლები, ლიტერატურული კაფე, ძალიან კარგია ახლა ყურნალისტები აქ რომ ბრძანდებიან. მოვიწვევ ყველა ყურნალისტს, ყველა მხატვარს, ყველა ხელოვანს, დავსხდეთ დავლით ჩაი, ვისაუბროთ მხოლოდ ხელოვნებაზე, ვისაუბროთ ჩვენს პრობლემებზე, თეატრი იმას მოახერხებს რომ ჩაით გაგიმასპინძლეთ. წავიკითხოთ ლექსები, პიესები, ჩვენი ნაწარმოებები, ჩავთონ რეჟისორები, მსახიობები, მოვაცოტოთ პიესის ან ლექსის ან სხვა ნაწარმოების განხილვა. ეს უნდა იყოს თეატრის გულშემოტყურთა ნამდვილი ფანკლები. რომელიც იქნება არა მარტო თეატრის, არამედ ხელოვანთა, შემოქმედთა, ხელოვნების მოყვარულთა თავშეყრის ადგილი. მოვიწვიოთ ჩვენი ექიმები, პედაგოგები, ზოგიერთი ლექსაც წერს, ზოგიც პროზაშია გაწაფული. სულ თვალწინ მიდგას **რატი დლონტი**, **ელგუჯა შევარდნაძე**, აღარ ჩამოვთვლი, ძალიან ბევრი კოლორიტი. ყველა პირობა გვაქვს – დიდი და პატარა სცენა, პლუს სამი სათეატრო სივრცე, სადაც შეიძლება საოცრებების გაკეთება, მაგალითად გვაქვს ჩვენი სამხატვრო დარბაზი, ანტრესოლი, სადაც 500-600 ადამიანი შეიძლება დასხდეს, გვაქვს გადასარევი ანტრესოლი – აივანი, შენობის თავზე, თავისი ქოლებით.

ბოლოს, ახალგაზრდა მსახიობებზე გეტყვით, გვყავს უნივერსიტეტადამთავრებული რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა, **ნიკა ძნელაძე** და **ციცი ბუცხრიკიძე**, პირველი თბილისელია, მეორე – ქუთაისელი, მაგრამ ჩვენთან არიან საბედნიეროდ გვაქვს რამდენიმე სასტუმრო ოთახი ჩამოყვანილი მსახიობებისა და

რეჟისორებისთვის.. ამის გარდა, ჩათვალეთ, რომ ზურაბ ციცილაძე ოზურგეთის თეატრის მსახიობია, გვყავს რუსთაველის თეატრის მსახიობი ზურაბ ინგოროყვა, ბატონ რობიკოსთან შეთანხმებული ვართ, რომ ინგოროყვა იქნება ჩვენი ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა. მისარია ძალიან, რომ ჩონატაურიდან მოვიყვანე **ვასო ბუბუტიშვილი**, ერთ-ერთი გამორჩეული არტისტი ჩონატაურში. ვასო უკვე ამ პრემიერაში ძირითადად ილარიონის როლშია **ალიკა ლომიძესთან** ერთად. ალიკას, ცოტა ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერა აქვს კარგად, თბილისში მკურნალობს. ბათუმიდანაც გვყავდა, მოვსინჯეთ ორი ახალგაზრდა, ამ ეტაპზე თავი შევიკავეთ, მაგრამ გვაქვს რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდასთან მოლაპარაკება.

ბედნიერებაა, რომ მყავს ბერძენები, „სტარიკებს“ ბერძენებს ვეძახი. ვერ მომინელება **ნუგზარ ბარამიძის** გარდაცვალება, როგორ ვევედრებოდი ყველას, რომ შემეყვანინეთ თქვენი თავი, ერთად შევიდეთ ახალ შენობაში-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დანარჩენები ყველა ფორმაშია, ნახავთ პრემიერაზე, გაბრიელ მდინარაძესაც, 93 წლის კაცს, ერთადერთ მოქმედ სახალხო არტისტს რეგიონში, შესაძლებელია მთელ საქართველოშიც.

ბიუჯეტზე უკვე გითხარით, მადლობელი ვარ სამინისტროსი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა, რომელიც პროგრამულ დაფინანსებას გვიწევს. მადლობა ბიძინა ივანიშვილსა და ფონდ „ქართუს“, სიზმარი რომ ამიცხადეს. კარგია და, ამავე დროს უდიდესი საპასუხისმგებლობისა. ასეთ თეატრს ედგე სათავეში, მადლობა უფაღს, რომ ამ შესანიშნავი თეატრის ხელმძღვანელობა მარგუნა. მოკლედ, ეს მინდოდა მეთქვა. 14 აპრილს გეპატრუებით საზეიმო ღონისძიებასა და პრემიერაზე.

ესაუბრა **თემურ მარშანიშვილი**

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბაღლი- +6+19 5 აპრილი ორშაბათი	მზე, ღრუბაღლი- +9+20 6 აპრილი სამშაბათი	მზე, ღრუბაღლი- +9+20 7 აპრილი ოთხშაბათი	მზე, ღრუბაღლი- +8+21 8 აპრილი ხუთშაბათი	წვიმა +6+20 9 აპრილი პარასკევი	წვიმა +5+13 10 აპრილი შაბათი	წვიმა +5+14 11 აპრილი კვირა
--	---	---	---	--	--	---------------------------------------